მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 6 თვის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

ანგარიში მომზადებულია ძირითადად სოციალური დახმარების სახეების ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით ექვსი თვის შესრულების ანალიზის საფუძველზე და სახვა მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 456,05 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 433,00 ათასი ლარი, რაც გემის 94,9 %-ია. მთლიანიხარჯიდან ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას მოხმარდა 185,615 ათასი ლარი ანუ ექვსი თვის გეგმის 97,7 პროცენტი; ოჯახების და ბავშვების სოციალურ დახმარებას 90,01 ათასი ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულმა ოჯახებმა მიიღო 103,667 ათასი ლარის დახმარება, ხოლო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრის ოჯახებსა და 9 აპრილს დაზარალებული პირების დახმარებამ კი შეადგინა 9 200 ლარი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება. საანგარიშო პერიოდში ფულადი დახმარებით ისარგებლა 50 მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომლებსაც გაეწია 30,825 ათასი ლარის დახმარება, ხოლო ახალშობილთა 51 ოჯახმა ერთჯერადად ისარგებლა 10 200 ლარის დახმარებით.

პროგრამის შესაბამისად 18 წლამდე ასაკის 55 შშმ პირი სარგებლობს ყოველთვიური კომუნალური გადასახადით. ამის გარდა სარგებლობენ სხვა შეღავათებითაც. მაგრამ ამ მიმართულებით შშმ პირთა საჭიროების კვლევის ფარგლებში იკვეთება ბევრი სხვადასხვა პრობლემები. ზოგიერთი საკითხის გადაჭრა შეუძლებელია ფინანსური რესურსის გამო. მნიშვნელობანია სერვისების გაფართოება, გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამები და ამ პროგრამების პრიორიტეტების ჩამოყალიბება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

პოროგრამის ფარგლებშიი ყოველთვიური ფულადი დახმარებით სარგებლობს დედ-მამით ობოლი 2 ბავშვი, თითეული ფულადი დახმარების სახით თვეში იღებს 200 ლარს, განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე 4 ბენეფიციარი თითოეული 100 ლარს, ხოლო დიალეზზე მყოფი 18

ბენეფიციარი ტრანსპორტირების ხარჯის დასაფარავად 140 ლარს. პროგრამის მიხედვით ერთჯერადი ფულადი დახმარებით სარგებლობს ჰემოფილიით დაავადებული 3 პირი და ხანდაზმული პირები. კვარტალში ერთხელ ფინანსდება ა (ა)იპ განათლების ცენტრის ბაზაზე 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ,,დღის ცენტრი" და ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩოხატაურის ფილიალი. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა, რის ხარჯმაც შეადგინა 7,00 ათასი ლარი, ხოლო სოციალური პროგრამების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიხარჯა 34 908 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები. შესწავლილი იქნა მძიმე საცხოვრებელ; პირობებში მყოფი ოჯახების მდგომარეობა და მომზაქდებულია მასალები მათი ერთჯერადი ფულადიბ დახმარების თაობაზე. ამ მხრივ ერჯ კიდევ ბევრი საკითხი მოითხოვს დროულად შესწავლას. ფინანსური რესურსების გამო ვერ სრულდება პრევენციული ღონისძიებები. მნიშვნელოვანია დროულად განისაზღვროს პირველ რიგში დასახმარებელ-დაზარალებულ პირთა რიგითობა, საკითხის განხილვისას მეტი ყურადღება მიექცეს გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციებს.

მნიშვნელოვანია სამსახურმა ოჯახების გაძლიერების მიზნით უნდა ჩაატაროს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების კვლევა, რომ განხორციელდეს მათი პროგრამაში ჩართვა. შესწავლილი იქნას შშმ პირთა მისაწვდომობასთან მიმართულებით არსებული საჭიროებები და შემუშავდეს რეკომენდაციები გამოვლენილი ბარიერების აღმოსაფხვრელად.

ასევე აუცილებელია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის გაგზრძელება. საკითხების მომზადებისას ყველა ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების დადაინტერესებული პირების ჩართვა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა სამსახურები აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში.